კოალიციის „მედიის ადვოკატირებისათვის“ განცხადება საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

კოალიცია ,,მედიის ადვოკატირებისთვის“ საგანგაშოდ მიიჩნევს საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილ ვითარებას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ორმა წევრმა დაწერა განცხადება საბჭოს დატოვების თაობაზე, რასაც დანარჩენი მეურვეები მათზე განხორციელებულ ზეწოლას უკავშირებენ. განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობს საბჭოს რამდენიმე მოქმედი წევრიც. საბჭოში დარჩენილი შვიდი მეურვე არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები. გენერალური დირექტორის გათავისუფლების შემდეგ, საზოგადოებრივ მაუწყებელს მართავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. გაუმჭვირვალედ და საზოგადოებასთან კონსულტაციის გარეშე მიმდინარეობს პირველ არხზე გადაცემების დახურვისა და ახალი პროექტების შერჩევის პროცესი. ოფიციალური განმარტებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი განიცდის მძიმე ფინანსურ კრიზისს, რაც საფრთხეს უქმნის არხის ჯეროვან ფუნქციონირებას.

შექმნილი ვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს საზოგადოებრივ მაუწყებელში იმ რეფორმის განხორციელების აუცილებლობას, რომლის ინიციატორი იყო კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“. კოალიციის ინიციატივა აისახა კანონში მაუწყებლობის შესახებ, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის ამოქმედებას 2014 წლის 1 იანვრიდან.

კოალიციას „მედიის ადვოკატირებისათვის“ აუცილებლად მიაჩნია:

•შეწყდეს ზეწოლა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებზე და ჩარევა საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლად საქმიანობაში;
•გამოძიებულ იქნას საზოგადოებრივ მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებზე ზეწოლის და მაუწყებლის საქმიანობაში გარედან ჩარევის ფაქტები;
•საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილმა კრიზისულმა სიტუაციამ არ გამოიწვიოს დაგეგმილი რეფორმის პრინციპებისა და ვადების ცვლილება.
•საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საშუალება, რომ მოხდეს ფინანსური კრიზისის დაძლევა და არ შეფერხდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის უწყვეტი მუშაობა.